სამოქალაქო განათლების ტესტი

2013

ინსტრუქცია

ტესტი ეყრდნობა სამოქალაქო განათლების მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს. იგი ამოწმებს მასწავლებლის საგნობრივ კომპეტენციასა და საგნის სწავლების მეთოდიკას.

თქვენს წინაშეა ტესტის ბუკლეტი და პასუხების ფურცელი. ტესტში სხვადასხვა ტიპის დავალებებია. ყურადღებით გაეცანით დავალებათა ინსტრუქციებს, კარგად გაიაზრეთ თითოეული დავალების პირობა და შემდეგ გაეცით პასუხი. ყოველ შეკითხვას კონკრეტულად და ამომწურავად უპასუხეთ. ყველა პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ. წერეთ გარკვევით. პასუხი არ უნდა გასცდეს დავალებისათვის გამოყოფილ არეს.

ტესტის ბუკლეტის ცარიელი ადგილები შეგიძლიათ გამოიყენოთ შავი სამუშაოსათვის.

გაითვალისწინეთ:

გასწორდება მხოლოდ პასუხების ფურცელი!

პასუხების ფურცლის გაკეცვა დაუშვებელია!

ტესტის მაქსიმალური ქულაა -70

ტესტის შესრულებისათვის გეძლევათ 5 საათი.

გისურვებთ წარმატებას!

ინსტრუქცია

- **არჩევითბოლოიანი დავალება (№ 1-8, 17, 18)**

თითოეულ კითხვას თან ახლავს ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. პასუხების ფურცელზე სწორი პასუხის შესაბამის უჯრაში დასვით X ნიშანი. თუ გსურთ მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი. შეუძლებელია გადასწორებული პასუხის ხელმეორედ არჩევა. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

- **შესაბამისობის დადგენა (№ 11, 12, 19)**

დავალებაში ორ სვეტად მოცემულია სხვადასხვა ტიპის ჩამონათვალი. დაადგინეთ შესაბამისობა ამ ორ სვეტში წარმოდგენილ ინფორმაციას შორის. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელში მოცემულ ცხრილში. ქულათა მაქსიმალური რაოდენობა მითითებულია დავალების გასწვრივ.

- **თანმიმდევრობის დადგენა (№10)**

დავალებაში მოცემული ჩამონათვალი დაალაგეთ მითითებული პრინციპის თანახმად. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელში მოცემულ უჯრებში. გაითვალისწინეთ, რომ უჯრაში იწერება მხოლოდ არჩეული პასუხის შესაბამისი ციფრი. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

- **შეცდომის შესწორება (№ 13, 14)**

დავალებაში მოცემულია ტექსტი, რომელშიც დაშვებულია შეცდომები. იპოვეთ და შეასწორეთ ისინი. ნაპოვნი შეცდომა და მისი შესწორებული ვარიანტი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში მოცემულ ცხრილში. გაითვალისწინეთ, ყოველი ნაპოვნი შეცდომა, მის შესწორებულ ვარიანტთან ერთად, 1 ქულით ფასდება. ქულათა მაქსიმალური რაოდენობა მითითებულია დავალების გასწვრივ.

- **დავალება ღია დაბოლოებით (№ 9, 15-16, 20-23)**

დავალებაში დასმულია კითხვა, რომელსაც სავარაუდო პასუხები არ ახლავს. ყურადღებით წაიკითხეთ დავალების პირობა და კითხვა. გაითვალისწინეთ, თქვენი პასუხი უნდა იყოს შეკითხვის ადეკვატური და კონკრეტული. პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელში შესაბამის ადგილას. ქულათა მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით და მითითებულია თითოეული დავალების გასწვრივ.

I. ცოდნა და უნარები

1. **რა ეწოდება სრულწლოვანი მოქალაქის შესაძლებლობას საკუთარი ქმედებით შეიძინოს და განახორციელოს სამოქალაქო უფლებები, იკისროს და შეასრულოს სამოქალაქო ვალდებულებები?**

   ა. ემანსიპაცია

   ბ. ქმედუნარიანობა

   გ. უფლებაუნარიანობა

   დ. შეზღუდული ქმედუნარიანობა

2. **რომელი სასამართლოს შექმნაა <u>დაუშვებელი</u> საქართველოს კონსტიტუციისა და კანონით განსაზღვრული წესის მიხედვით ?**

   ა. უზენაესი სასამართლო

   ბ. სამხედრო სასამართლო

   გ. საერთო სასამართლო

   დ. საგანგებო სპეციალური სასამართლო

3. **ჩამონათვალიდან რომელი <u>არ არის</u> საკანონმდებლო ინიციატივის მქონე სუბიექტი საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით?**

   ა. საქართველოს მთავრობა

   ბ. 30 000 ამომრჩეველი

   გ. საკრებულოს წევრი

   დ. ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭო

4. **რომელი საერთაშორისო დოკუმენტი განეკუთვნება ჰუმანიტარული სამართალის სფეროს?**

   ა. ორჰუსის კონვენცია

   ბ.1949 წლის ჟენევის კონვენცია

   გ. ევროპის სოციალური ქარტია

   დ. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია

5. **რომელი განმანათლებლები მიიჩნევიან ხელისუფლების შტოებად დანაწილების იდეის ავტორებად?**

ა. ლოკი, მონტესკიე, რუსო

ბ. სმითი, ვოლტერი, რუსო

გ. ლოკი, ვოლტერი, დიდრო

დ. სმითი, მონტესკიე, დიდრო

6. **რომელი საერთაშორისო ორგანიზაცია უნდა ეწეროს მოცემული სქემის ცარიელ უჯრაში?**



ა. ევროპის კავშირი

ბ. ჩრდილო ატლანტიკური ალიანსი

გ. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია

დ. ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია

7. **მსმენელის შესაძლო ქმედებიდან რომელი <u>არ მიეკუთვნება</u> აქტიური მოსმენის მეთოდს?**

ა. მოსაუბრისათვის რჩევის მიცემა

ბ. დამაზუსტებელი კითხვების დასმა

გ. ჟესტიკულაციით მოსმენის დემონსტრირება

დ. საუბრის მოკლე დასკვნის სახით ჩამოყალიბება

8. მართებულია თუ არა მოსაზრებები, რომ 1989-2002 წლებში საქართველოს მოსახლეობაში ქართველთა ხვედრითი წილის ზრდა განაპირობა:

I. ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის ემიგრაციის შემცირებამ და შობადობის მატებამ;
II. ქვეყნის ტერიტორიიდან არაქართველი ეთნიკური ჯგუფების მასობრივმა გადინებამ.

ა. მხოლოდ I

ბ. მხოლოდ II

გ. არცერთი

დ. ორივე

9. (1 ქ.) გააანალიზეთ რას ასახავს მოცემული სქემა და დაასათაურეთ იგი. რა უნდა ეწეროს სქემის ცარიელ უჯრაში?



10. ქრონოლოგიურად დაალაგეთ ადამიანის უფლებათა ძირითადი დოკუმენტები მათი მიღების თარიღის მიხედვით:

1. ბავშვთა უფლებების დეკლარაცია

2. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია

3. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტი

4. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპის კონვენცია

		3	

11. (2 ქ.) დაადგინეთ შესაბამისობა სახელისუფლებო შტოებსა და მათ უფლებამოსილებებს შორის:

I. უფლებამოსილებები	II. სახელისუფლებო შტოები
ა. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა ბ. სახელმწიფო ორგანოებს შორის არსებული დავების განხილვა გ. სახელმწიფოს საგარეო კურსის განსაზღვრა დ. კანონის კონსტიტუციურობის დადგენა ე. გადასახადების აკრეფა ვ. სახელმწიფო საზღვრის შეცვლა	1. საკანონმდებლო 2. სასამართლო 3. აღმასრულებელი

12. (1 ქ.) რუკა ასახავს მსოფლიო ქვეყნების ჰუმანური განვითარების 2011 წლის მონაცემებს. ცხრილში მოცემული რუკის ლეგენდის ფერები დაუკავშირეთ ჰუმანური განვითარების შესაბამის დონეებს.



I. ჰუმანური განვითარების დონე	II. რუკის ლეგენდის ფერი
ა. უმაღლესი	1. ყვითელი
ბ. მაღალი	2. ნარინჯისფერი
გ. საშუალო	3. ლურჯი
დ. დაბალი	4. მწვანე

13. (7 ქ.) ყურადღებით წაიკითხეთ ტექსტი, აღმოაჩინეთ და შეასწორეთ შეცდომები :

ადგილობრივი თვითმმართველობა საქართველოში

პოსტსაბჭოთა საქართველოში მმართველობის ცენტრალიზაციის პირველი მცდელობა იყო 1991 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნები. 1995 წლის 24 აგვისტოს საქართველოს კონსტიტუციით განისაზღვრა ადგილობრივი თვითმმართველობის პრინციპების რეალიზების ძირითადი პირობები: „საქართველოს მოქალაქეები ადგილობრივი მნიშვნელობის საქმეებს აწესრიგებენ თვითმმართველობის მეშვეობით სახელმწიფო სუვერენიტეტის შეულახავად“. მმართველობის სისტემის ამგვარ პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ განაწილებას, ხელისუფლების ჰორიზონტალურ დანაწილებასაც უწოდებენ. 1998 წელს 4 წლის უფლებამოსილების ვადით აირჩა ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოები – საკრებულოები.

საქართველოს დემოკრატიული განვითარებისათვის მნიშვნელოვანი იყო 2004 წლის 26 ოქტომბერს პარლამენტის მიერ „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ეროვნული ქარტიის რატიფიცირება. 2006 წლიდან „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ორგანული კანონის შესაბამისად, ამოქმედდა თვითმმართველობაზე დაფუძნებული ერთდონიანი ადგილობრივი ხელისუფლება, რის შედეგადაც გაიზარდა თვითმმართველი ერთეულების რაოდენობა.

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში პასიური საარჩევნო უფლებით სარგებლობა შეუძლია ყველა სრულწლოვან მოქალაქეს, რომელიც აკმაყოფილებს კანონის მოთხოვნებს. ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ტარდება მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე. საკრებულოს წევრებს შეუძლიათ ფრაქციაში გაერთიანება. ფრაქციის ჩამოყალიბება დასაშვებია რელიგიური, ეროვნული, პროფესიული ნიშნით. ფრაქციის წევრთა რაოდენობა არ უნდა იყოს სამზე ნაკლები. მოქმედი კანონმდებლობით საკრებულოს სხდომები საჯაროა.

14. (8 ქ.) ყურადღებით წაიკითხეთ ტექსტი, აღმოაჩინეთ და შეასწორეთ შეცდომები:

ქურთები

ქურთების პრობლემა ახლო აღმოსავლეთში კვლავ მოუგვარებელია. განსაკუთრებით მძიმედ დგას ქურთების პრობლემა ჩვენს მეზობელ სახელმწიფო თურქეთში, რომელიც გაეროს, ასევე ევროკავშირის წევრი ქვეყანაა. თურქეთში 20 მილიონამდე ქურთი ცხოვრობს, რაც ქვეყნის მთელი მოსახლეობის ოც პროცენტს შეადგენს და მათ ავტონომია არ გააჩნიათ. თურქეთსა და ქურთებს შორის კონფლიქტმა, რომელიც ათეულობით წელია გრძელდება, 40 ათასამდე ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. აბდულა ოჯალანის მიერ დაარსებული „თურქისტანის მუშათა პარტიას“ თურქეთის ხელისუფლება, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ევროკავშირი ეროვნულ-განმათავისუფლებელ ორგანიზაციად მიიჩნევენ.

ქურთთა გაერთიანება ერაყის ტერიტორიაზე თავისუფლად მოქმედებს. მეოცე საუკუნის ბოლოს ქურთები ირან-ერაყის ომისა და კადაფის გენოციდური პოლიტიკის მსხვერპლად მოგვევლინენ. დღეს ერაყში შემავალმა ქურთულმა რეგიონმა მსოფლიო ნავთობის ბაზარზე თავის დამკვიდრება დაიწყო.

ქურთისტანის ტერიტორია, რომელზეც ეს ერთ-ერთი უძველესი ხალხი სახლობდა, მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ ოთხ სახელმწიფოს შორის გაიყო. ეს სახელმწიფოებია: თურქეთი, ისრაელი, ირანი და სირია. 30 მილიონიანი ერი, მსოფლიოს ყველაზე დიდი რასობრივი უმცირესობა, საკუთარი სახელმწიფოს და დე ფაქტო, საკუთარი ენის გარეშე დარჩა.

საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის აღწერის მიხედვით, საქართველოში 21 ათასამდე ქურთი ცხოვრობს. მათ ძირითად ნაწილს შეადგენს ეთნიკური ქურთების რელიგიური განშტოება - იეზოველები. ქურთების ძირითადი ნაწილი საქართველოში დასახლდა 1918-1920 წლებში. 1918 წელს ისინი საბჭოთა საქართველოს მთავრობამ შეიფარა თურქეთის მთავრობისა და მუსლიმი ქურთების მიერ რელიგიურ-პოლიტიკურ ნიადაგზე დევნის გამო. საქართველოში მცხოვრები ქურთების ახალგაზრდა თაობაში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ქართული ენის ცოდნის დონე. 2008 წელს საქართველოში გამოიცა „ვეფხისტყაოსნის“ ქურთული თარგმანი.

15. (9 ქ.) ყურადღებით გააანალიზეთ მოცემული ტექსტი და უპასუხეთ კითხვებს:

ჰელსინკის კონფერენცია

1973 წელს ფინეთის დედაქალაქ ჰელსინკში შეიკრიბა ევროპის თითქმის ყველა ქვეყნის წარმომადგენელი, ასევე ამერიკის შეერთებული შტატების, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და კანადის დიპლომატები. კონფერენციაზე განიხილეს ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა გავლენის სფეროების გადანაწილება, შეიარაღება და ადამიანის უფლებათა დარღვევის პრევენცია. კონფერენციამ აღიარა მონაწილე სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობისა და საზღვრების ურღვევობის პრინციპი, რითაც, ფაქტობრივად, ცნო საბჭოთა სახელმწიფოს გავლენა ევროპაში. სსრკ-მ ეს საკუთარი დიპლომატიის გამარჯვებად მიიჩნია იმ ეტაპზე, მაგრამ მოგვიანებით განვითარებულმა მოვლენებმა სხვა რამ დაანახა მსოფლიოს.

1975 წელს ჰელსინკის კონფერენციაზე მიღებული საბოლოო აქტით, მონაწილე ქვეყნები ვალდებულებას იღებდნენ, რომ დაიცავდნენ აზრის, სინდისისა და აღმსარებლობის თავისუფლებას, აგრეთვე ხალხთა თვითგამორკვევის უფლებას. კონფერენციაზე საბჭოთა კავშირმაც, სხვა სახელმწიფოების მსგავსად, აიღო ვალდებულება, რომ დაიცავდა ადამიანთა უფლებებს და გადასინჯავდა პოლიტპატიმართა საკითხს საკუთარ ქვეყანაში. სწორედ აქ გამოვლინდა დასავლურ სახელმწიფოთა მტკიცე და თანმიმდევრული პოზიცია კომუნიზმის მიმართ.

ჰელსინკის შეხვედრამ ბიძგი მისცა მოძრაობას, რომელიც საბოლოოდ აღმოსავლეთ ევროპის გათავისუფლებით დასრულდა „ხავერდოვანი რევოლუციების“ სახით.

ჰელსინკის კონფერენცია იმითაც იყო ფასეული, რომ გახდა ახალი საერთაშორისო ორგანიზაციის შექმნის სტიმულატორი.

კითხვები:

15.1. დასახელეთ, რომელი საერთაშორისო ორგანიზაციის შექმნაზეა საუბარი ტექსტში?

15.2. ევროპის რომელ რეგიონში იყვნენ პოლიტპატიმრები? <u>ახსენით, რატომ.</u>

15.3. ტექსტის ანალიზის საფუძველზე დაასახელეთ სფერო, რომლის განვითარებამაც გარდატეხა მოახდინა და შეცვალა ევროპის შემდგომი ცხოვრება.

15.4. ტექსტიდან გამომდინარე, განსაზღვრეთ რა მნიშვნელობა ჰქონდა იმ დროისათვის კონფერენციის შედეგებს მონაწილე მხარეებისათვის?

15.5. ტექსტის ანალიზის საფუძველზე განსაზღვრეთ, კონფერენციის ზოგადი ისტორიული მნიშვნელობა?

15.6. რა გავლენა ჰქონდა ჰელსინკის კონფერენციას საქართველოზე?

15.7. რას ნიშნავს „ხავერდოვანი რევოლუცია“ და აღმოსავლეთ ევროპის რომელი სახელმწიფოები მოიცვა ამ მოვლენამ XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს?

15.8. დაასახელეთ პოსტსაბჭოთა სივრცის სამი სახელმწიფო, სადაც XXI საუკუნის დასაწყისში „ხავერდოვანი რევოლუციების“ ახალი ტალღა გავრცელდა.

16. (5 ქ.) მოცემულია რუკა ლეგენდისა და სათაურის გარეშე. სხვადასხვა ფერით აღნიშნულ სახელმწიფოთა ქვეჯგუფების ანალიზის საფუძველზე უპასუხეთ კითხვებს:



16.1. რა არის ასახული მოცემულ რუკაზე ?

ა. ტერიტორიული მოწყობა

ბ. მმართველობის ფორმები

გ. რელიგიის გეოგრაფია

დ. პოლიტიკური რეჟიმები

16.2. დაასახელეთ, რას უნდა აღნიშნავდეს რუკის ლეგენდაზე ლურჯი ფერი?

16.3. რა არის აღნიშნული რუკის ლეგენდაზე წითელი ფერით? რუკის თემატიკიდან გამომდინარე რა განასხვავებს კანადასა და ავსტრალიას წითელი ფერით აღნიშნული სხვა სახელმწიფოებისაგან?

16.4. რუკის თემატიკიდან გამომდინარე, რა საერთო აქვთ ყავისფერი ფერით აღნიშნულ სახელმწიფოებს ერთმანეთთან?

II. საგნის სწავლების მეთოდიკა

17. თქვენი მიზანია, მოსწავლეებს მიაწოდოთ ინფორმაცია დემოკრატიის ძირითადი მახასიათებლების შესახებ, რომელთა გამოყენებით განუვითარებთ სხვადასხვა სახელმწიფოს დახასიათების უნარს. ყველაზე მეტად, რომელი სასწავლო ქმედებითაა შესაძლებელი აღნიშნული მიზნის მიღწევა?

ა. მოსწავლეები მცირე ჯგუფებში აყალიბებენ დემოკრატიის ძირითად მახასიათებლებს და ამ მახასიათებლების მიხედვით განიხილავენ მასწავლებლის მიერ დასახელებულ სახელმწიფოს;

ბ. მასწავლებელი განიხილავს დემოკრატიის ძირითად მახასიათებლებს, ხოლო მოსწავლეები უსადაგებენ მათ სხვადასხვა ქვეყნებს და მსჯელობენ შესაძლებელია თუ არა, რომელიმე სახელმწიფოში არსებობდეს დემოკრატიის მახასიათებელი ყველა კომპონენტი;

გ. გონებრივი იერიშის საშუალებით მოსწავლეები ასახელებენ დემოკრატიის ძირითად მახასიათებლებს. შემდეგ, არსებული ჩამონათვალის გამოყენებით თითოეული მოსწავლე წერილობით აყალიბებს აზრს შერჩეული სახელმწიფოს დემოკრატიულობის ხარისხის შესახებ;

დ. მასწავლებელი განიხილავს დემოკრატიის დადებით და უარყოფით მხარეებს. შემდეგ მოსწავლეები ამ ცოდნის გამოყენებით განიხილავენ საქართველოს და სხვადასხვა სახელმწიფოს.

18. თქვენი მიზანია, კრიტიკული აზროვნების უნარის განვითარებასთან ერთად მოსწავლეებს ჩამოუყალიბდეთ დამოკიდებულება, რომ კრიტიკული აზროვნება ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით საკუთარი პოზიციის ფორმირების საუკეთესო საშუალებაა. ყველაზე მეტად, რომელი სასწავლო ქმედებითაა შესაძლებელი აღნიშნული მიზნის მიღწევა?

ა. მასწავლებლის მიერ შეთავაზებულ საკითხზე მოსწავლეები გამოთქვამენ საკუთარ პოზიციას და არგუმენტების საშუალებებით ასაბუთებენ მას. მასწავლებელი აფასებს თითოეულ არგუმენტს;

ბ. კლასი იყოფა საკამათო საკითხის მომხრე და მოწინააღმდეგე ორ ჯგუფად. თითოეული ჯგუფი წარმოადგენს საკუთარი პოზიციის გამამყარებელ არგუმენტებს. მასწავლებელი აფასებს მათ და გამოავლენს წარმატებულ ჯგუფს;

გ. მოსწავლეები, მიუხედავად საკუთარი პოზიციისა, წილისყრით ნაწილდებიან მტკიცებით ან უარმყოფელ გუნდებში და დებატობენ. შემდეგ ერთობლივად განიხილავენ პოზიციებს და აყალიბებენ საკუთარს;

დ. მოსწავლეები იყოფიან საკამათო თემის მომხრე და მოწინააღმდეგე გუნდებად. მასწავლებელი დაფაზე რიგ-რიგობით წერს გუნდების მიერ მომზადებულ არგუმენტებს. საბოლოოდ გამარჯვებულად ითვლება გუნდი, რომელიც მეტ არგუმენტს წარმოადგენს.

19. (3 ქ.) მასწავლებელი მიზნად ისახავს განუვითაროს მოსწავლეებს კვლევის ჩატარების უნარი. I სვეტში მოცემულია მასწავლებლის მიერ დაგეგმილი სასწავლო მიზნები, ხოლო II სვეტში - აზროვნების სხვადასხვა დონე. შეუსაბამეთ კონკრეტული სასწავლო მიზნები, შესაბამის კოგნიტურ მიზანს:

I. მოსწავლის მიღწევები	II. სააზროვნო უნარები
ა. შეუძლია კვლევის ინსტრუმენტების მიხედვით კონკრეტული პროცედურების განხორციელება კვლევისათვის;	1. გაგება
ბ. შეუძლია კვლევის ჩატარების ძირითადი ინსტრუმენტების ჩამოთვლა და კლასიფიკაცია რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევების მიხედვით;	2. გამოყენება
გ. კვლევის შედეგებს განიხილავს არსებული სტანდარტების მიხედვით და უსადაგებს მათ კონტექსტს, რის საფუძველზეც ახდენს პრობლემის მოგვარებისათვის შერჩეული გზის პრიორიტეტულობის დასაბუთებას;	3. ანალიზი
დ. კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების საფუძველზე წერს კვლევის ანგარიშს, რომელშიც მოცემულია კვლევის განხორციელების აღწერა და მისი შედეგები;	4. სინთეზი
ე. განიხილავს კვლევის შედეგებს და ადგენს კავშირებს მიზეზებსა და შედეგებს შორის.	5. შეფასება

20. (4 ქ.) მასწავლებელი მიზნად ისახავს, მოცემული ტექსტის გამოყენებით, მოსწავლეებს გამოუმუშაოს არგუმენტირებული მსჯელობის უნარი:

„მე ნამდვილად არა ვარ პატრიოტიზმის წინააღმდეგი. ჩვენ უნდა გვიყვარდეს ჩვენი ქვეყანა ისევე, როგორც ჩვენი ოჯახი, სოფელი თუ ქალაქი, ჩვენი პროფესია, პლანეტა, რომელზეც ვცხოვრობთ და რომელზეც ჩვენი სამშობლოა. მე მხოლოდ ნაციონალიზმის – ნაციონალური კუთვნილების ყველაფერზე ზემოთ ბრმად დაყენების - წინააღმდეგი ვარ.

მე არც რომელიმე რელიგიის, კულტურის ან ცივილიზიციის ცალკეული ტრადიციების წინააღმდეგი ვარ. ჩემთვის მიუღებელია ყველა სახის ფანატიზმი და ფუნდამენტალიზმი, რომელიც, ისევ და ისევ, გარკვეულ ადამიანებს სხვებზე მაღლა აყენებს.

ვფიქრობ, რომ ყველაზე თავისუფალი წყობა – ანუ ის, რომელიც საუკეთესო საშუალებას აძლევს ადამიანის ყველა სახის თვითგამოხატვას განვითარდნენ ერთმანეთის გვერდით – არის წყობა, რომელიც ემყარება სამოქალაქო პრინციპს, წყობა, რომელსაც საფუძვლად უდევს რწმენა მოქალაქეობისა და ურთიერთპატივისცემისა. ასეთი სამოქალაქო წყობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გამოხატულება არის ის, რასაც ჩვენ სამოქალაქო საზოგადოებას ვუწოდებთ“.

ვაცლავ ჰაველი, 1999 წ.

20.1. ტექსტიდან გამომდინარე განსაზღვრეთ სადისკუსიო თემა.

20.2. განმარტეთ, ტექსტიდან გამომდინარე, რატომ აირჩიეთ ეს სადისკუსიო თემა .

20.3. ჩამოაყალიბეთ თითო არგუმენტი დისკუსიის დროს წარმოქმნილი პოზიციის როგორც დასაცავად, ისე უარსაყოფად.

21. (5 ქ.) **დავალებაში მოცემულია მოსწავლეების მიერ შედგენილი სასკოლო პროექტის მიზნის, ამოცანებისა და განხორციელების გზების არასრული ვარიანტი. იმისათვის, რომ სასკოლო პროექტის მოცემულმა ნაწილმა მიიღოს დასრულებული სახე, შეასრულეთ შემდეგი დავალებები:**

I. განსაზღვრეთ და ჩაწერეთ I ამოცანა, ცხრილში მოცემული განხორციელების გზების ჩამონათვალიდან გამომდინარე;

II. დაწერეთ განხორციელების სამი სხვადასხვა გზა, რომელიც თქვენი აზრით, ხელს შეუწყობს ცხრილში მოცემული II ამოცანის შესრულებას;

III. განსაზღვრეთ და ჩაწერეთ პროექტის მიზანი, რომლის მიღწევაცაა შესაძლებელი პროექტის ორივე ამოცანის და მათი განხორციელების გზებიდან გამომდინარე.

სასკოლო პროექტი		
21. 1.	**პროექტის მიზანი**	*(ჩაწერეთ მიზანი რომლის მიღწევაცაა შესაძლებელი მოცემული ამოცანებიდან და განხორციელების გზებიდან გამომდინარე)*
21. 2.	**პროექტის ამოცანები**	**<u>I ამოცანა:</u>** *(განსაზღვრეთ და ჩაწერეთ კონკრეტული ამოცანა I ამოცანის განხორციელების გზებიდან გამომდინარე)* **<u>II ამოცანა:</u>** **ანტინიკოტინური კამპანიის წარმართვა სკოლაში**
21. 3.	**განხორციელების გზები**	**<u>I ამოცანის განხორციელების გზები:</u>** • **გამოჩენილ სპორტსმენებთან მოსწავლეთა შეხვედრების მოწყობა;** • **„მხიარული სტარტების“ ჩატარება;** • **სპორტის მოყვარულთა კლუბის შექმნა.** **<u>II ამოცანის განხორციელების გზები:</u>** *(დაწერეთ განხორციელების სამი სხვადასხვა გზა)* ***<u>1.</u>*** **<u>2.</u>** **<u>3.</u>**

22. (8 ქ.) გაეცანით მოსწავლეების ნაშრომებს და შეაფასეთ ისინი შემოთავაზებული სქემით:

მასწავლებელმა გაკვეთილზე განიხილა თემა „ადამიანის უფლებები“ და მოსწავლეებს შესაბამისი მითითებების შემდეგ შესთვაზა წერითი დავალება: „ადამიანის უფლებების კლასიფიკაცია“.

<u>I მოსწავლის მიერ შესრულებული დავალება</u>

ადამიანის უფლებების მრავალი განმარტება არსებობს, თუმცა ყველა მათგან საერთო ის აქვს, რომ ადამიანის უფლებები და თავისუფლებები არ არის სახელმწიფოს მიერ ნებოძები წყალობა, ისინი სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლად არსებობენ, ვინაიდან ჩვენ ადამიანებად დავიბადეთ.

უფლებები მათი ძინაარსის მიხედვით იყოფა ჯგუფებად. სიცოცხლის, თანასწორობის, სიცუდის თავისუფლების და ა.შ. უფლებები ერთიანდება პირად ანუ სამოქალაქო უფლებებში. ისეთი ცივილ უფლებები, რომელიც არჩევნებში მონაწილეობის, პარლიამენტის ძალმნის უფლება და სხვა ერთიანდება პოლიტიკური უფლებების ჯგუფში. ხოლო საკუთრების, ძრომის და ამდაგვარი უფლებები ეკონომიკური უფლებების ჯგუფს მიეკუთვნება.

ბსენებული უფლებების ჩამოყალიბება ერთბაშად არ მომხდარა. ისინი კაცობრიობის განვითარების ფეხდაფეხ ყალიბდებოდნენ. პირველი თაობის უფლებებს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები წარმოადგენს (ნეგატიური უფლებები), მეორე თაობას – სოციალური, ეკონომიკური და კულტურული (პოზიციური უფლებები), ხოლო მესამეს წარმოადგენს ყველა ის უფლება, რომელიც პირველ ორ კატეგორიას არ განეკუთვნება (ნეიტრალური უფლებები).

ვინაიდან ადამიანის უფლებები და თავისუფლებები მთავარი ადამიანური ღირებულებებია, ისინი სახელმწიფოსგან დამოუკიდებლადაც არსებობენ. სახელმწიფოს ძუძლია მხოლოდ აღიარონ ადამიანის უფლებები და აიღონ ვალდებულება დაიცვას ისინი, რადგან თავად ხელისუფლება არსებობს ხალხისგან და ხალხისთვის. ჩვენ კი, ჩვენის მხრივ, უნდა ვეცადოთ, რომ პატივი ვცეთ სხვის უფლებებს და ვიყოთ კანონმორჩილნი.

<u>II მოსწავლის მიერ შესრულებული დავალება</u>

პირადვნების განყხრილი უფლებების და თავისუფლებების ერთიანობას, რომელთაც იგი დაბადებისთანავე იძენს, ადამიანის უფლებები ეწოდება. ადამიანის უფლებები განსაზღვრავს მინიმუმს იმ პირობებისა, რომელიც საჭიროა ადამიანის ღირსებისა და სიცოცხლის ძესანარჩუნებლად.

არსებობს უფლებების სხვადასხვა დაყოფა ერთ-ერთი მათგანია თაობების ანუ მათი წარმოშობის მიხედვით დაყოფა: I თაობას განეკუთვნება თანდაყოლილი უფლებები, II თაობას – ძეძენილი უფლებები, III თაობას კი – კოლექტიური უფლებები.

კიდევ ერთი კლასიფიკაციის პრინციპს საზოგადოებრივი ურთიერთობების სფეროს მიხედვით დაყოფა წარმოადგენს. ამ კლასიფიკაციით ადამიანის უფლებები იყოფა: პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა ჯგუფად.

საბელმწიფო კონსტიტუციისა და კანონმდებლობის მეშვეობით ეანსაზღვრავს ურთიერთობის წესებს იმისათვის, რომ ადამიანის უფლებები და თავისუფლებები იყოს დაცული და ეამანტიერებული ყოველი ჩვენთაგანისთვის.

<u>შეფასების სქემა</u>

	I. რა მოწმდება	II. მაქსიმა-ლური ქულა	III. ქულების მინიჭების პრინციპი		
			0 ქულა	1 ქულა	2 ქულა
A.	**განმარტება** (სწორად ესმის თუ არა მოსწავლეს ადამიანის უფლებების არსი)	1	არასწორად ესმის არსი	სწორად ესმის არსი	–
B.	**კლასიფიკაცია თაობების მიხედვით**	3	თითოეული სწორად აღწერილი თაობა - თითო ქულა		
C.	**კლასიფიკაცია საზოგადოებრივი ურთიერთოების სფეროს მიხედვით**	5	თითოეული სწორად დასახელებული უფლებათა ჯგუფი - თითო ქულა		
D.	**ადამიანის უფლებებისა და სახელმწიფოს ურთიერთმიმართება**	2	ვერ აყალიბებს ურთიერთმიმართებას	აყალიბებს ურთიერთმიმართებას, მაგრამ არ არის არგუმენტირებული	ლოგიკურად აყალიბებს ურთიერთმიმართებას, ამყარებს არგუმენტით

ყურადღებით გაეცანით შეფასების სქემას და ორივე მოსწავლის ნაშრომი შეაფასეთ მოცემული სქემის მიხედვით. მოსწავლეებს დაუწერეთ შესაბამისი ქულა შეფასების სქემის თითოეული კრიტერიუმისათვის ცალ-ცალკე.

მოსწავლისათვის თქვენს მიერ მინიჭებული ქულები ჩაწერეთ ცხრილში:

		A	B	C	D
22.1	I მოსწავლის შეფასება				
22.2	II მოსწავლის შეფასება				

23. (6ქ.) მოცემულ სასწავლო რესურსებზე დაყრდნობით განსაზღვრეთ გაკვეთილის თემა და დაგეგმეთ სასწავლო პროცესი:

<u>**სასწავლო რესურსი:**</u>

,,ამას ვამჩნევ ფიქრისა და მსჯელობისას სხვას მაინც მიჰბაძონ, თუ შინაარსით არა, გარეგნობით მაინც, რომ უცხო კაცი დაესწროს, ის არა თქვას: ე, რა ღმერთი გამიწყრა, რა ველურს ხალხში მოვემწყვდიეო.

აგერ, შორს რად გვინდა წასვლა, შევხედოთ ინგლისელებს. დაუკვირდეთ გლადსტონს და ირლანდიის შესახებ მის აზრის მოწინააღმდეგეთ, როგორ ეპყრობიან, რა კილოთი საუბრობენ, რა საზომი და სასწორი უჭირავთ ხელში. „მართალია, ამა და ამ აზრში მოტყუებულა გლადსტონი, მაგრამ მაინც დიდებული კაციაო, მაინც დიდებაა ინგლისისაო“. აბა, კაი ბიჭი ხარ და ქართველ კაცს გააბედინებ, ათქმევინებ თავის მოწინააღმდეგის შესახებ, რომ თუმცა ერთსა სტყუი, მაგრამ ეს ერთი რამ კი სიმართლე სთქვიო. რაკი მოწინააღმდეგე ხარ, სრულიად, თავით ბოლომდე, მტყუანი ხარ, მართლის თქმა, მართლის ქმნა არ ძალგიძსო.

ამას ვამჩნევ მე და გული მტკივა. ამ ტკივილმა ისე იმატა, რომ თავსაც მატკიებს. ამგვარი საქციელი, ამისთანა ერთი მეორესთან დამოკიდებულება, ჩემს თავში ვერა თავსდება, გონებას მიძრწუნებს“.

ვაჟა-ფშაველა, „ამას ვამჩნევ“, 1861-1915.

23.1. დაასახელეთ თემა, რომლის უკეთ გააზრებაშიც დაეხმარება მოსწავლეებს მოცემული ფრაგმენტისა და ფოტოების სასწავლო რესურსად გამოყენება;

23.2. ჩამოაყალიბეთ კონკრეტული სასწავლო მიზანი: რა ცოდნა, უნარები და განწყობა/ დამოკიდებულება გსურთ შეიძინონ მოსწავლეებმა თემის შესწავლისას;

23.3. აღწერეთ სასწავლო მიზნის შესაბამისი კონკრეტული აქტივობა, რომელიც დაეხმარება მოსწავლეებს თემის უკეთ გააზრებაში.

23.1. თემა:	*(დასახელეთ გაკვეთილის თემა)*
23.2. სასწავლო მიზანი :	**I. ცოდნა** **II. უნარები** **III. განწყობა/დამოკიდებულება:**
23.3. სასწავლო აქტივობა:	*(აღწერეთ თანმიმდევრულად, სრულყოფილად და ლაკონურად სასწავლო ქმედება)* *გაითვალისწინეთ! აქტივობა აღწერეთ თემასთან მიმართებაში. მხოლოდ მეთოდების ან ორგანიზების ფორმის დასახელება შეფასდება 0 ქულით.*

2013 წლის პედაგოგთა სასერტიფიკაციო გამოცდა

სამოქალაქო განათლების ტესტის

შეფასების სქემა

<table>
<tr><th>დავალება №</th><th>სწორი პასუხები/ შეფასების კრიტერიუმები</th><th>მაქსიმალური შეფასება</th></tr>
<tr><td></td><td>I. ცოდნა და უნარები</td><td></td></tr>
<tr><td>1.</td><td>ბ</td><td>1</td></tr>
<tr><td>2.</td><td>დ</td><td>1</td></tr>
<tr><td>3.</td><td>ბ</td><td>1</td></tr>
<tr><td>4.</td><td>ბ</td><td>1</td></tr>
<tr><td>5.</td><td>ა</td><td>1</td></tr>
<tr><td>6.</td><td>ბ</td><td>1</td></tr>
<tr><td>7.</td><td>ა</td><td>1</td></tr>
<tr><td>8.</td><td>ბ</td><td>1</td></tr>
<tr><td>9.</td><td>1 ქულა: დასახალებულია სქემის სათაური - სახელმწიფოს როლი საბაზრო ეკონომიკურ სისტემაში / სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციები;
0 ქულა: პასუხი არ არის მოცემული ან არამართებულია.</td><td>1</td></tr>
<tr><td>10.</td><td><table><tr><td>2</td><td>4</td><td>3*</td><td>1</td></tr></table></td><td>1</td></tr>
<tr><td>11.</td><td><table><tr><td>I</td><td>ა</td><td>ბ</td><td>გ</td><td>დ</td><td>ე</td><td>ვ</td></tr><tr><td>II</td><td>3</td><td>2</td><td>1</td><td>2</td><td>3</td><td>1</td></tr></table>2 ქულა: ექვსივე სწორი პასუხი; 1 ქულა: არანაკლებ ოთხი სწორი პასუხი;
0 ქულა: სამი და ნაკლები სწორი პასუხი.</td><td>MAX 2</td></tr>
<tr><td>12.</td><td><table><tr><td>I</td><td>ა</td><td>ბ</td><td>გ</td><td>დ</td></tr><tr><td>II</td><td>3</td><td>4</td><td>1</td><td>2</td></tr></table></td><td>1</td></tr>
</table>

13.	ყოველი მართებულად შესწორებული შეცდომა ფასდება 1 ქულით	**MAX 7**
14.	ყოველი მართებულად შესწორებული შეცდომა ფასდება 1 ქულით	**MAX 8**
15.	<u>15.1</u> **1 ქულა:** დასახელებულია ორგანიზაცია - *ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია/ეუთო* <u>15.2</u> **1 ქულა:** დასახელებულია რეგიონი და ახსნილია მიზეზი; **0 ქულა:** დასახელებულია რეგიონი, მაგრამ არ არის ახსნილი მიზეზი; პასუხი არ არის მოცემული ან არამართებულია. <u>15.3</u> **1 ქულა:** დასახელებულია სფერო, რომელზეც საუბარია ტექსტში. **0 ქულა:** პასუხი არ არის მოცემული ან არამართებულია. <u>15.4</u> **1 ქულა:** წარმოდგენილია მსჯელობა, თუ რატომ იყო მნიშვნელოვანი კონფერენციის შედეგები მონაწილე მხარეებისათვის; **0 ქულა:** მსჯელობა ზოგადია, არ ჩანს მხარეთა ინტერესები, პასუხი არ არის მოცემული ან არამართებულია. <u>15.5</u> **1 ქულა:** წარმოდგენილია მსჯელობა კონფერენციის ზოგადი ისტორიული მნიშვნელობის შესახებ; **0 ქულა:** პასუხი არ არის მოცემული ან არამართებულია. <u>15.6</u> **1 ქულა:** ახსნილია კონფერენციის შედეგად განვითარებული მოვლენების გავლენა საქართველოზე; **0 ქულა:** პასუხი არ არის მოცემული ან არამართებულია. <u>15.7</u> **2 ქულა:** მოცემულია ახსნა, დასახელებულია ორი სახელმწიფო მაინც, არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას; **1 ქულა:** მოცემულია ახსნა, არ არის დასახელებული სახელმწიფოები; / მოცემულია ახსნა, მაგრამ დასახელება არასრულია ან შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას; / ახსნა არამართებულია, თუმცა სწორადაა დასახელებული სახელმწიფოები; **0 ქულა:** პასუხი არ არის მოცემული ან არამართებულია.	**MAX 9**

<table>
<tr><td></td><td><u>15.8</u>
1ქულა: დასახელებულია სამივე სახელმწიფო
0 ქულა: პასუხი არასწორია/ არასრულყოფილია</td><td></td></tr>
<tr><td>16.</td><td><u>16.1</u>
ბ
<u>16.2</u>
1ქულა: დასახელებულია მმართველობის ფორმა - საპრეზიდენტო რესპუბლიკა;
0 ქულა: პასუხი არ არის მოცემული ან არამართებულია.
<u>16.3</u>
2 ქულა: დასახელებულია მმართველობის ფორმა - კონსტიტუციური მონარქია, ასევე განმასხვავებელი ნიშანი.
1 ქულა: დასახელებულია მხოლოდ მმართველობის ფორმა; / არასწორადაა დასახელებული მმართველობის ფორმა, თუმცა განმასხვავებელი ნიშანი რუკის თემატიკის რელევანტურია;
0 ქულა: პასუხი არ არის მოცემული ან არამართებულია.
<u>16.4</u>
1 ქულა: დასახელებული საერთო ნიშანი რუკის თემატიკის რელევანტურია;
0 ქულა: პასუხი არ არის მოცემული ან არამართებულია.</td><td>MAX 5</td></tr>
<tr><td></td><td>II. საგნის სწავლების მეთოდიკა</td><td></td></tr>
<tr><td>17.</td><td>ბ</td><td>1</td></tr>
<tr><td>18.</td><td>ბ</td><td>1</td></tr>
<tr><td>19.</td><td><table><tr><td>I</td><td>ა</td><td>ბ</td><td>გ</td><td>დ</td><td>ე</td></tr><tr><td>II</td><td>2</td><td>1</td><td>5</td><td>4</td><td>3</td></tr></table>3 ქულა: ხუთი სწორი პასუხი; 2 ქულა: ოთხი სწორი პასუხი;
1 ქულა: სამი სწორი პასუხი; 0 ქულა: სამზე ნაკლები სწორი პასუხი;</td><td>MAX 3</td></tr>
<tr><td>20.</td><td>20.1-10.2 მაქსიმალური 2ქ.
2 ქულა: სადისკუსიო თემა მკაფიოდაა ჩამოყალიბებული, შეესაბამება მოცემულ ტექსტს. შესაძლოა არ არის რეზოლუციის სახით ჩამოყალიბებული, თუმცა არის პრობლემატური, ორმხრივი და დისკუსიის წარმართვის შესაძლებლობას იძლევა; ასევე, მკაფიოდ და დამაჯერებლადაა ახსნილი სადისკუსიო თემის მიმართება მოტანილ ნაწყვეტთან/ ნაჩვენებია თემის აქტუალობა და მოსწავლეებთან დისკუსიის გამართვის საჭიროება.</td><td>MAX 4</td></tr>
</table>

<table>
<tr>
<td></td>
<td>
1 ქულა: თემა მკაფიოდაა ჩამოყალიბებული, შეესაბამება მოცემულ ტექსტს. არის პრობლემატური, ორმხრივი, დისკუსიის წარმართვის შესაძლებლობას იძლევა, არჩევანი არ არის ან სუსტადაა დასაბუთებული.
1 ქულა: თემა ნაწილობრივ შეესაბამება მოცემულ ტექსტს, თუმცა იძლევა დისკუსიის წარმართვის შესაძლებლობას, დასაბუთება დამაჯერებელია.
1 ქულა: თემა ნაწილობრივ შეესაბამება ტექსტს, არის დასაბუთების მცდელობა, იძლევა დისკუსიის წარმართვის შესაძლებლობას.
0 ქულა: პასუხი არ არის მოცემული ან არ შეესაბამება ტექსტს.

20.3 მაქსიმალური 2 ქ.
1ქულა: მტკიცებითი არგუმენტი
1 ქულა: უარმყოფელი არგუმენტი
სადისკუსიო თემის შესაბამისი კონკრეტული, მკაფიოდ ჩამოყალიბებული, დასრულებული აზრის მატარებელი, დადებითი ღირებულების მქონე არგუმენტი, რომელიც არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას ფასდება თითო ქულით;
</td>
<td></td>
</tr>
<tr>
<td>21.</td>
<td>
21.1 მაქსიმალური 1ქ.
1 ქულა: მკაფიოდაა ჩამოყალიბებული მიზანი, რომელიც მოცემული ამოცანებისა და მათი განხორციელების გზების რელევანტურია.
0 ქულა: მიზანი არარელევანტურია, არ არის უფრო ფართო, ვიდრე ამოცანები;
21.2 მაქსიმალური 1ქ.
1 ქულა: მკაფიოდაა ჩამოყალიბებული განხორციელების გზების შესაბამისი კონკრეტული მიღწევადი ამოცანა.
0 ქულა: ამოცანა არ შეესაბამება დავალებაში მოცემულ განხორციელების გზებს.
21.3 მაქსიმალური 3 ქ.
ყოველი დასახელებული განხორციელების გზა, რომელიც მეორე ამოცანის შესაბამისია 1 ქულით შეფასდება.
</td>
<td>MAX 5</td>
</tr>
<tr>
<td>22.</td>
<td>
<table>
<tr><th></th><th></th><th>A</th><th>B</th><th>C</th><th>D</th></tr>
<tr><td>22.1</td><td>I მოსწავლის შეფასება</td><td>1</td><td>2</td><td>3</td><td>2</td></tr>
<tr><td>22.2</td><td>II მოსწავლის შეფასება</td><td>1</td><td>1</td><td>3</td><td>1</td></tr>
</table>

თითოეული სწორი შეფასება - 1 ქულა
</td>
<td>MAX 8</td>
</tr>
</table>

23.	**23.1 მაქსიმალური 1ქ.** დასახელებულია თემა, რომლის განხილვა შესაძლებელია მოცემული სასწავლო რესურსების დახმარებით. **23.2 მაქსიმალური 3ქ.** დასახელებული მიზანი თემისა და მოცემული რესურსების შესაბამისია, მიზანი კონკრეტული, მიღწევადი და მკაფიოდ ჩამოყალიბებულია: **1ქულა:** დასახელებულია ცოდნა, რომელიც თემის ფარგლებში უნდა შეიძინონ მოსწავლეებმა; **1ქულა:** დასახელებულია უნარ-ჩვევები, რომელიც უნდა განუვითარდეთ მოსწავლეებს; **1ქულა:** დასახელებულია განწყობა-დამოკიდებულება, რომელიც სასურველია ჩამოუყალიბდეთ მოსწავლეებს. **23.3 მაქსიმალური 2 ქ.** **2 ქულა:** აღწერილი სასწავლო აქტივობა განსახილველი თემის ადეკვატურია, თანმიმდევრულად, სრულყოფილად და ლაკონურად არის გადმოცემული. ეფექტურად არის გამოყენებული შეთავაზებული რესურსები, აქტივობით შესაძლებელია დასახული სასწავლო მიზნის სამივე კომპონენტის მიღწევა; **1 ქულა:** აღწერილი სასწავლო აქტივობა განსახილველი თემის ადეკვატურია, არასრულყოფილია, ნაწილობრივ მიიღწევა სასწავლო მიზანი; **0 ქულა:** მხოლოდ სწავლების მეთოდების, კლასის ორგანიზების ფორმის დასახელება ან გაკვეთილის თემასთან მიმართების გარეშე აღწერა.	**MAX 6**
	ტესტის მაქსიმალური ქულა	**70**